ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N8

18 იანვარი 2023 წელი

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა #15

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად
, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 17.07.2014 სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.128.016164).

1.შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილების მე-2 მუხლის მე-6, მე-7, მე-11 პუნქტებში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

6	III	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	1573
7	III	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	1452
11	IV	მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა	907.5

მუხლი 2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.